პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ოქტომბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 201 (9612) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა





საქართველოში ნებისმიერი ზეიმი წარმოუდგენელია სპორტის გარეშე. ასე იყო ამჟამადაც ნიკო ფიროსმანაშვილის მშობლიურ სოფელ მირზაანში, სადაც ამ თვითნასწავლი გენიალური მხატვრისადმი მიძღვნილი ხელოვნებისა და შრომის ტრადიციული ზეიმი გაიმართა.

ზეიმი დაამშვენა ჩვენმა ეროვნულმა საუნჯემ — ქართულმა ჭიდაობამ. მკლავისა და მუხლის ძალა მოუსინჯეს ერთმანეთს ზემო ქედელმა, არბოშიკელმა, ტიბაანელმა ბიჭებმა. გაიმართა შეჯიბრება აგრეთვე საჭიდაო ქვისა და გირების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში.

ფოტოებს, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ჟურნალისტმა ალექსანდრე კავკასიძემ გადაიღო ამ დღესასწაულზე.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

19 ოქტომბერს დილის 10 საათზე მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ. იგი გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით. (საქინფორმი).

## თენგიზ თედორაძე გამარჯვებულთა შორის

**ულიანოვსკი.** დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. სხვებზე უკეთ ამ შეჯიბრებაში არმიელი მოჭიდავეები გამოვიდნენ. გარდამავალი ჯილდო სწორედ შეიარაღებულ ძალთა ნაკრებმა მოიპოვა. მეორე ადგილზე დინამოელები არიან, მესამეზე — პროფკავშირების წარმომადგენლები.

გუნდური შეჯიბრების მსვლელობაში გამოვლინდნენ ცალკეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული მოჭიდავეებიც. აი, ისინიც (წონითი კატეგორიების მიხედვით): ნიკოლოზ პარფიონოვი (ტიუმენი), ვლადიმერ ოსტროუმოვი (მოსკოვი), ალასი მანუკიანი, არუტიკ რუბენიანი (ორივე — ლენინაკანი), ნიკოლოზ კოვალენკო (ომსკი), ბისოლტ დეციევი (ჩიმკენტი), ნაილ ალმიაშოვი (სარანსკი), **თენგიზ თედორაძე (თბილისი)**, ვიაჩესლავ კლიმენკო (კიევი), ალექსანდრე კარელინი (ნოვოსიბირსკი).

შეჯიბრება საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. არმიელი მოჭიდავეები უდაოდ უძლიერესნი იყვნენ. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს დინამოელებმაც. სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა 20 წლის დინამოელმა ალექსანდრე კარელინმა, აგრეთვე, თენგიზ თედორაძემ და ვიაჩესლავ კლიმენკომ.

## ვახტანგ იაგორაშვილის კიდევ ერთი ოქროს მედალი

**დასავლეთ ბერლინი.** სსრ კავშირის თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ოქროს მედლები მოიპოვა პროგრამის დასკვნით სახეობაშიც — ესტაფეტურ შეჯიბრებაში, რომელიც აქ პირველად ჩატარდა ექსპერიმენტის სახით. კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შორის და წლევანდელი ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი, თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი, ლენინგრადელი გერმან იუფეროვი და მოსკოველი ალექსი ხაპლანოვი.

მეორე ადგილზე პოლონელი ხუთჭიდელები გავიდნენ, მესამეზე — ჩეხოსლოვაკიელები.

ექსპერიმენტულმა ტურნირმა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი ზბიგნევ კატნერის აზრით ესტაფეტა თანამედროვე ხუთჭიდის მომავალია. ასეთი შეჯიბრებები უფრო შინაარსიანიცაა და სანახაობრივად — ეფექტური.

### ველოსპორტი

**გუდაუთაში** მიმდინარეობს პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა მრავალდღიან ველორბოლაში. შეჯიბრებაში 1969-70 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობენ, მაგრამ საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებაში თითო წლით უმცროსი ასაკის ველომრბოლელებით გამოდის.

ბოლო ეტაპის წინ ლიდერობს თბილისელი ვ. დავიდენკო, რომელიც 47 წამით უსწრებს რსფსრ-ის წარმომადგენელს ო. ნიკოლაევს. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა უკრაინის ნაკრები, II ადგილზეა საქართველოს, მე-III-ზე — ლიტვის გუნდი. საქართველოს ნაკრები ლიდერთან 1,19 წამით აგებს, ლიტვის ნაკრები კი თავის მხრივ ჩვენს გუნდს 15 წამით ჩამორჩება.

### ტელეტაიპი - მკითხველი

**აიტჰოორნი.** ჰოლანდიის ამ ქალაქში ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი შორ მანძილზე ცურვაში. 3-კილომეტრიან დისტანციაზე ყველას კიეველმა მოცურავემ სვეტლანა უსპენსკაიამ აჯობა. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გუნდური პირველობაც მოიგო. ვაჟთა შორის ჩვენს მოცურავეებს მესამე ადგილი ერგოთ. გამარჯვება კი იტალიელებმა მოიპოვეს.

**ვარშავა.** გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა კრივში ადგილობრივ გუნდსა და ინგლისის ნაკრებს შორის. მინიმალური უპირატესობით (6:5) მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

**ვენა.** მოსკოვში წარუმატებელი ცდის შემდეგ იტალიელმა ველოსიპედისტმა ფრანჩესკო მოზერმა აქ სცადა ერთსაათიან რბოლაში ვიაჩესლავ ეკიმოვის მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება (49 კმ. 672 მ.).

ცდა ამჯერადაც უნაყოფო გამოდგა. მოზერმა ბრძოლა შეწყვიტა 27-წუთზე, როცა დარწმუნდა, რომ რეკორდს ვერაფერს დააკლებდა.

## რაც საჭირო და აუცილებელია

**საყოველთაოდ** ცნობილია, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცევა დღეს მოსახლეობის ფიზიკურ აღზრდას. დიახ, ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ყველაზე გამოკვეთილი ტენდენცია გახდა. ამ ზრუნვის გამოხატულებაა მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს შექმნაც. საბჭოს საქმიანობა წარიმართება ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენელთა და რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკთა ერთობლივი შეცადინეობით.

ამ დღეებში რესპუბლიკის სპორტსახკომში ჩატარდა მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს ბიუროს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი გურამ მეტონიძე.

ბიუროს სხდომაზე, რომლის დღის წესრიგში იყო ოთხი საკითხი, საქმიანი და გულახდილი სჯაბაასი გაიმართა.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკების საბინაო კომუნალური სამინისტროების მიერ საცხოვრებელ ადგილებში გატარებული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციით გამოვიდნენ აღნიშნული სამინისტროების წარმომადგენლები. ითქვა, რომ ამ რეგიონებში ბევრი რამ გაკეთდა ფიზკულტურული მოძრაობის გასაშლელად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი.

იხ. მე-2 გვ.



თბილისის იპოდრომზე გრძელდება ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ეროვნული სახეობები. სურათზე თქვენ ხედავთ ისინდში შეჯიბრების მომენტს. (ა. კოტორაშვილის ფოტო).

## „სოვეტსკი სპორტის“ ჰორიზონტები

**რით** იწყებს დილას სპორტის მოყვარული? დილის ვარჯიშით, კროსით და... რიგით „სოიუზპეჩატის“ კიოსკთან გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ საყიდლად... სამწუხაროდ, ეს პოპულარული გამოცემა საცალო ვაჭრობაში ყველას არ ჰყოფნის.

სად არის გამოსავალი? „გამოსავალი გაზეთის გამოწერაა,“ — ამბობს „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორი ვალერი კუდრიავცევი, რომელსაც საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრება.

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩვენი გაზეთის პოპულარობა მართლაც დიდია, — გვეუბნება ვალერი გიორგის ძე, — იგი დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. „სოვეტსკი სპორტის“ ტირაჟი 6 მილიონს უახლოვდება. ეს მსოფლიოში უდიდესი სპორტული გამოცემაა, მას 120-ზე მეტ ქვეყანაში კითხულობენ. იმედი გვაქვს, ჩვენი ხელმომწერების რიცხვი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

◉ **როგორი იქნება გაზეთი ახალ წელს?**

— ყურადღების ცენტრში იქნება საბჭოური ცხოვრების წესის პროპაგანდა. ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნის გათვალისწინებით დაგეგმილი გვაქვს საუბარი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებისა და საჯაროობის გაფართოების, ნეგატიური მოვლენების დაძლევის, სასარგებლო გამოცდილების შესახებ. სპორტი და ფიზიკური კულტურა სოციალურ მოვლენებს წარმოადგენენ, რომლებსაც შეუძლიათ შესამჩნევად შეცვალონ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. ამიტომ ვაპირებთ მტკიცედ დავუჭიროთ მხარი სოციალურ სამართლიანობას, გავილაშქროთ ელიტარულობის, საბჭოთა სპორტში მორალური და ზნეობრივი ფასეულობების მოშლის წინააღმდეგ.

◉ **გაისად საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენები მოხდება. ეს არის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობანი, ევროპის ფეხბურთელთა ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, მსოფლიოს და ევროპის პირველობები სხვადასხვა**

იხ. მე-4 გვ.



კვირას, 18 ოქტომბერს, გამაჯანსაღებელი რბენის მოყვარულები შეიკრიბნენ კუს ტბაზე, სადაც მერვედ გაიმართა ტრადიციული მასობრივი მძლეოსნური კროსი „მგლის მუხლი“. შეჯიბრებაში ყველა ასაკის სპორტსმენი და ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ამ შეჯიბრების შესახებ დაწვრილებით ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გესაუბრებით.

სურათზე: ლიდერთა ჯგუფი დისტანციაზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის

# მყინვარი — პოეტური ხატი

მყინვარი — კავკასიონის ულამაზესი მწვერვალი.

პოეტური ხატი — შთაგონებისა და აღმაფრენის საგნად რომ ექცათ პუშკინს, ლერმონტოვს, დიუმას, აკაკის, ილიას...

მან გააცილა პეტერბურგს მიმავალი ჭაბუკი ი. ჭავჭავაძე და წინ შეეგება მამულზე ზრუნვისათვის გულანთებულს.

დღესაც გასცქერის საგურამოს ორსართულიანი სახლის ღია აივანი მოწმენდილ ცაზე მოელვარე თოვლიან მწვერვალს.

სიცოცხლეში ვერ შელეოდა დიდი ერისკაცი ამ სანახავს...

სიკვდილის შემდეგაც თვალს უსწორებს წიწამურის ობელისკით ცად აწვდილ მყინვარის სიმაღლეს.

ოდა უძლვნა შემოქმედმა მის სიდიადეს — გააცოცხლა შორეული ლეგენდა და მისი პოემის გმირები დასახლდნენ მზის ვარაყში ჩასმული სურათის ფერად სანახებში.

„განდეგილი" — გამორჩეული ნაწარმოებია ილიას შემოქმედებაში. ისე, როგორც მკითხველისთვის, ავტორისთვისაც გამორჩეული ყოფილა იგი.

შემოქმედის შთაგონებამ სინამდვილედ აქცია ლეგენდა, მაგრამ დიდხანს მაინც ლეგენდად რჩებოდა სინამდვილე...

არსებობდა მხოლოდ აღწერა მემატიანეთა:

„მყინვარსა კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გადმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ. კვალად ძირსა მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და აწ ცალიერი" — გადმოგვცემს მეთვრამეტე საუკუნის გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი.

ამასვე ადასტურებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" აღწერილი ამბავი მღვდელ იოსებ მოხევის შესახებ, რომელიც ყოფილა „ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი. ესე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან მიუვალსა და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრამისა მამათმთავრისა, რომელ ჯერეთაცა არავინ აღსრულ არს მთასა მას, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარვისა მის, და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა".

ბეთლემის შესახებ საზოგადოების დაინტერესების გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის სამთო საზოგადოების ვლადიკავკასის განყოფილების საბჭოს წევრმა ა. ი. დუხოვსკიმ 1913 წელს გერგეტის მყინვარის უშუალო სიახლოვეს მიაკვლია ძველი მონასტრის ნანგრევებს, რომელშიც შემონახული ნაშთების მიხედვით რვა სენაკი და საყდარი უნდა ყოფილიყო.

პირობების სირთულის გამო, ამ ადგილებამდე მისაღწევად დუხოვსკის სამი ასვლის განხორციელება დასჭირდა; პირველი ასვლა მოხდა ივლისში, ბოლო — სექტემბერში.

ხალხის ფანტაზიამ ბეთლემის იდუმალებით მოსილ ისტორიას ერთი საინტერესო დეტალიც დაუკავშირა: „ბეთლემის ბერი" — ასე შეურქმევიათ ვულკანოგენური 12-მეტრიანი სიმაღლის სვეტისათვის, რომელიც მყინვარწვერის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 3100 მეტრ სიმაღლეზეა აღმართული. დასავლეთის მხრიდან იგი მართლაც განდეგილი ბერის ფიგურას განასახიერებს — ისახება კუზიანი ზურგი, წვერი, ცხვირი, თავზე კუნკულით. იგი აღრიცხულია როგორც ბუნების ძეგლი და საქართველოს სსრ წითელ წიგნშია შეტანილი.

ას წელზე მეტი გავიდა პოემა „განდეგილის" შექმნიდან. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ლეგენდებისა და თქმულებების შეჯერებით მიღებულ დასკვნებზე უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა სინამდვილე.

ბეთლემის მღვიმის აღმოჩენამ მთლიანად დაადასტურა პოემაში აღწერილი ადგილების რეალობა, ხოლო ამ აღმოჩენით ბიძგი მიეცა ბეთლემისა და მისი შემოგარენის მეცნიერული კვლევის საფუძველზე ათვისებას.

ბეთლემის მღვიმის აღმოჩენით კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაიწერა ქართული ალპინიზმის ისტორიაში.

პირველი ექსპედიცია მღვიმის შესწავლის მიზნით მოეწყო 1948 წელს, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

„გამოქვაბული მდებარეობს — წერდა გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე ალ. ჯაფარიძე — მწვერვალ ყაზბეგის სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდოვანი ქედის ფერდობზე, დაახლოებით 4000-4100 მეტრის სიმაღლეზე. მისი გარეგანი სახე მეტად საინტერესოა. გამოქვაბულის კარი გამოკვეთილია თითქმის 400 მეტრის სიმაღლის შვეულ, მართლაც „ფრიალოსაებრ ჩამოთლილ" კლდეზე. კლდე შორიდანვე გაირჩევა თავისი მოწითალო ფერით და სრულიად მიუვალად ეჩვენება თვალს. მანძილი კლდის ფუძიდან კარამდე დაახლოებით 300 მეტრი იქნება, ხოლო კარიდან კლდის წვერამდე 100 მეტრი".

ნანახი ზედმიწევნით დაემთხვა ბეთლემის ილიასეულ აღწერას.

ექსპედიციის წევრებს განდეგილის სენაკი ასეთი სახით წარმოუდგათ: იგი ხელითაა დამუშავებული და მომრგვალებული ფორმისაა. კარის ზემოთ მოთავსებულია სარკმელი, საიდანაც სენაკში დღის სინათლე შედის, ხის კარზე გადაკრულია ორი მილიმეტრის სისქის რკინის ფურცელი. მარცხენა ბოძის ძირში დამაგრებულია ერთმეტრიანი ჯაჭვი, რომლითაც შიგნიდან იკეტებოდა კარი. შუა კარზე მიმაგრებულია 5,5 მეტრის სიგრძის მსხვილი ჯაჭვი რკინისა, რომელსაც ბოლოში გამობმული აქვს მილისებური რგოლი ხელის მოსაკიდებლად.

ნივთები, რომლებიც პირველამსვლელებს ამ სენაკში დახვდათ (ჭედური ხატი-დროშა დაახლოებით XIII საუკუნისა, სამფეხა ბრინჯაოს შანდალი, ისრისპირი, ექვანი, 10 ცალი ძველებური ვერცხლის ფული და სხვა — სულ 20 საგანი), სათანადო მეცნიერული შესწავლის შემდეგ ექსპონირებულია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.



ბუნებრივია, პირველი, ვისაც აღმოჩენის შემდეგ ამ ადგილების ნახვის სურვილი გაუჩნდა, იყო ქართველ შემოქმედთა დიდი ჯგუფი, რომელსაც გამოჩენილი მწერალი, მთამსვლელი, ისტორიულ ძეგლთა მოამაგე და ბუნების მესაიდუმლე ლევან გოთუა ჩაუდგა სათავეში.

ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ა. გეწაძე, ზ. შერაზადაშვილი, ო. კუპრავა, ე. ყიფიანი, გ. ქავთარაძე, რ. ინანიშვილი, ე. ქურდიანი, ჯ. ჩარკვიანი, ჯ. ლოლუა, გ. თიკანაძე, ნ. შამანაძე და სხვები, მოეწყო 1957 წლის სექტემბერში და მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლის იუბილეს.

ასვლა, მიუხედავად უამინდობისა, წარმატებით დამთავრდა.

მწერალი ე. ყიფიანი ექსპედიციაში მიღებულ შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს ნაწარმოებში „მთაწმინდიდან მყინვარამდე": „ჩვენ ავაჟღარუნეთ ილიას განდეგილისეული ჯაჭვი, წავიკითხეთ ლექსები და დავიწყეთ უკან ჩასვლა. პატივცემული ალექსანდრა გვიჩვენებს შორს, მთათა შორის ამაღლებულ ილია ჭავჭავაძის სახელობის მწვერვალს, რომელიც მისმა ძმამ, ალიოშა ჯაფარიძემ დაიპყრო და მონათლა...".

ბეთლემის კომპლექსმა, რომელსაც ჩამოსცილდა ლეგენდების ბურუსი, ახალგაზრდა მკვლევარებიც დააინტერესა.

1978 წელს ბეთლემის მიდამოებს ეწვია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ერთი ჯგუფი. ექსპედიციამ შეძლო დაემოწმებინა 1913 წელს ა. დუხოვსკის მიერ აღნიშნული 10 ნაგებობის ნანგრევები და შეადგინა ამ მიდამოების ტოპოგრაფიული სქემა.

1980 წელს იმავე სამეცნიერო საბჭოს ექსპედიციამ (რომელშიაც მონაწილეობდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს არქეოლოგი) ახალ, საინტერესო მასალებს მიაკვლია მყინვარის ფერდობზე არსებული სამონასტრო კომპლექსის შესახებ და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ლეგენდიდან სინამდვილისკენ.

**სიმონ ჯაფარიძე,**
**ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.**

# რაც საჩქარო და აუცილებელია

დასასრული

მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს იმ სიძნელეებზე, რაც ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების ამოქმედებას აფერხებს. აღინიშნა, რომ **საქმეს ზოგჯერ ვერც დროულად მიღებული გადაწყვეტილება, შენობისა და სახსრების გამოყოფა, ენთუზიასტთა გამოჩენა შველის, რადგან ძნელდება სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენა — სავაჭრო ობიექტები უარს ამბობენ სპორტული საქონლის გადარიცხვით გაყიდვაზე.** გვინდა ლამაზი, თანამედროვე კალათბურთის მოედნები გვქონდეს, მაგრამ **ძალიან გვიჭირს პლასტმასის ფარების შოვნა, მათ გარეშე კი მოედნებს პეწი ეკარგება** — განაცხადა, მაგალითად, გაგრის საბინაო სამმართველოს წარმომადგენელმა. ითქვა ისიც, რომ **მოძველებული ინსტრუქციები ხელ-ფეხს უკრავს ფასიანი მომსახურების ობიექტებისა და სპორტული კოოპერატივების გახსნის მსურველთ.**

დისკუსია გამოიწვია მეორე საკითხმა. რესპუბლიკის **კულტურისა და დასვენების პარკებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა** — აღნიშნეს გამომსვლელებმა. დღესდღეობით **ვერ ნახავთ ისეთ პარკს, სადაც ნორმალური ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლა შეიძლება.** ჩვენს პარკებში გამართულად მხოლოდ ატრაქციონები მუშაობენ და მხოლოდ აქ თუ იკრიბება ხალხი. არადა, პარკების ხელმძღვანელებს დღეს მეტი შესაძლებლობა აქვთ მათ „სამფლობელოებში" სპორტული ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. მართალია, პარკების შემოსავლის წყარო ძირითადად ეს ატრაქციონებია, მაგრამ განა კარგად მოწყობილი სპორტული მოედანი ნაკლებ შემოსავალს მოგვცემს? კულტურისა და დასვენების პარკებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გამოსაცოცხლებლად მეტი აქტიურობა მართებს კულტურის სამინისტროს — ასეთი იყო მოკამათეთა ერთსულოვანი დასკვნა. **კარგი იქნება, თუ პროფკავშირული სპორტული ორგანიზაცია შეფობას გაუწევს ამ ობიექტებს** — ასეთი სურვილიც გამოითქვა.

ჯანმრთელობის ჯგუფებში მომეცადინეთა საექიმო კონტროლის ახალი მეთოდების შემუშავებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ ითქვა, რომ საექიმო კონტროლი და კონსულტაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ჯანმრთელობის გაკაჟების მსურველთათვის. ენთუზიასტ ფიზკულტურელთა საექიმო მომსახურების ძალზე მოხერხებული ფორმაა, მაგალითად „გადასაფურცლი" ტაბლოები. ასეთი ტაბლოების ყველაზე ხალხმრავალ, პოპულარულ გამაჯანსაღებელ ზონებში დამონტაჟება, რა თქმა უნდა, საგრძნობლად გააუმჯობესებს და აამაღლებს საექიმო კონტროლის ხარისხს.

საერთო ინტერესი გამოიწვია დღის წესრიგის ბოლო, მეოთხე საკითხმა. იმსჯელეს სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინების შესახებ. აღინიშნა, რომ სპორტის ეროვნულ სახეობებში გამართულ შეჯიბრებებს დიდძალი მაყურებლის მიზიდვა შეუძლია. ამ სახეობების აღდგენის აუცილებლობაზე ბევრი იწერება, თითქოს ბევრიც კეთდება, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ ვუთმობთ სათანადო ყურადღებას, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ვაგვიანებთ.

განსაკუთრებული აქტიურობის გამოჩენა მართებთ პერიფერიებში მომუშავე ფიზკულტურულ მუშაკებს. საჭიროა ეს თამაშობანი შევასწავლოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, მოსწავლეებს და სტუდენტებს. **ეროვნულ სახეობებში შეჯიბრებები კი ტარდება, მაგრამ ერთი ჯგუფიც არ გვყავს ისეთი, ამა თუ იმ ეროვნულ სახეობაში სისტემატურად რომ მეცადინეობდეს.** აი, სწორედ ასეთი ჯგუფები უნდა შეიქმნას, **ეროვნული სახეობებიც ისეთივე ყურადღებას საჭიროებს, როგორსაც ოლიმპიური სახეობები.** ქართველმა ახალგაზრდებმა ეროვნული სპორტის ისტორია უნდა იცოდნენ. უნდა მოვამზადოთ სპეციალისტები, რომლებიც ამ სახეობებში მომეცადინეთა ჯგუფებს გაუძღვებიან. ურიგო არ იქნება თუ დავჰყვეწავთ და თანამედროვეობას მივუსადაგებთ სპორტის ისეთ ეროვნულ სახეობებს, როგორიცაა ცხენბურთი, ლელობურთი, ჭოკით სიგრძეზე ხტომა, ბოძალის ტყორცნა, ლახტი.

სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ **მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ სახეობების პროპაგანდას.** გამოითქვა აზრი, რომ განსაკუთრებით საჩქარო და აუცილებელია რესპუბლიკის სპორტსაკომში ეროვნულ სახეობათა განყოფილების და ეროვნულ სახეობათა რესპუბლიკური ფედერაციის შექმნა.

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### ზუგდიდი

თვეზე მეტს ხანს გაგრძელდა ენგურჰესის მშენებელთა სპარტაკიადა „მხნეობა და ჯანმრთელობა". ასპარეზობაში, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა, 12 ფიზკულტურული კოლექტივის 1118 ფიზკულტურელი მონაწილეობდა.

შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ჰიდროსპეცმშენებელთა ფიზკულტურულმა კოლექტივმა (მეთოდისტი მ. ქარდავა). მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, სასიმაღლო კაშხალებისა და მიწისქვეშა აღჭურვილობის სამშენებლო სამმართველოების გუნდები გავიდნენ.

**ხ. კუიუმჯიანი,**
**სპორტკლუბ „ენგურის" თავმჯდომარე.**

### მესტია

ამ მთიან რაიონში კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. რაიონის ცენტრში ლამაზად გაფორმებული აფიშა გამოაკრეს, რომელიც იუწყებოდა, რომ ამიერიდან სისტემატურად გაიმართება რაიონის უბნების პირველობა მინიფეხბურთში. პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ახალშენის, ლეხთავის, ხეტის, ლანჩვალის, ლალამის, სპარდიშის, აგრეთვე, საგზაო უბნისა და მესტიაში სამუშაოდ ჩამოსული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა გუნდებმა. დააწესეს პრიზები საუკეთესო კოლექტივებისა და ფეხბურთელებისთვის.

შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ნორჩი მესტიელი ფეხბურთელები ხალისით გამოეხმაურნენ ახალ შეჯიბრებას.

**კუკური ხერგიანი.**

### ქარელი

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ქართველმა მეშაქრეებმა. აქ ახლახანს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ღია საჭიდაო არენა, რომელმაც დაამშვენა დაბა აგარის სპორტული კომპლექსი.

ამ საქმეში დიდია შაქრის კომბინატის ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული და ფიზკულტურული აქტივის წვლილი, მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა დროულად გადაეცათ საჭიდაო საექსპლოატაციოდ.

სარბიელის საზეიმო გახსნის შემდეგ გამართულ მოჭიდავეთა ორთაბრძოლებში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: გ. თორთლაძემ, მ. კაყაშვილმა, გ. სვიანაძემ, ზ. გულიაშვილმა, დ. ქამერაშვილმა, დ. ადიბეგოვმა, ზ. ხორგუაშვილმა, ზ. ბერუაშვილმა, თ. ბერუაშვილმა და დ. ჩოჩიშვილმა.

გამარჯვებული მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და საჩუქრებით.

დამსწრე მაყურებელს — მოსკოველ, თბილისელ, გორელ, ხაშურელ სტუმრებს მოეწონათ ახალი საჭიდაო.

**სულიკო ხეთაგური,**
**ქარელის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით" რედაქციის თანამშრომელი.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

17 ოქტომბერს ლანჩხუთში გაიმართა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩი — ადგილობრივმა „გურიამ“ ხარკოვის „მეტალისტს“ უმასპინძლა.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:1 (0:1).

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 17 ოქტომბერი.

„გურია“: ქანთარია, მიქაბერიძე (დანელია), რომანჩუკი, ე. თევზაძე, ვარნავსკი, ხლუსი, ცომაია, ტყებუჩავა, ჩხაიძე (ბონდარუკი), ცაავა, აკოფიანი.

„მეტალისტი“: კუტეპოვი, მახინია, კუზნეცოვი, ვაშენკო, პანჩიშინი, დერევენსკი (იაროვსკი), ბურიაკი, ტალკო, იაკუბოვსკი, ტარასოვი (ბარანოვი), ივანოვი.

მსაჯი ი. სავჩენკო (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

იმის გამეორება, რომ ლანჩხუთელებს „მეტალისტთან“ შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, ზედმეტად მიგვაჩნია. გუნდი გათამაშების აუტსაიდერია, ჩემპიონატის ფინიშზე მისთვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. ერთი სიტყვით, ხარკოვის „მეტალისტთან“ 17 ოქტომბრის მატჩში „გურიას“ მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეფიქრა.

ლანჩხუთელ ფეხბურთელებს შეტევა არ დაუყოვნებიათ, უკვე მე-6 წუთზე აკოფიანს შეეძლო გუნდი დაეწინაურებინა, მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია „მეტალისტის“ მეკარე კუტეპოვმა, რომელმაც მთელი შეხვედრა უშეცდომოდ ჩაატარა... მასპინძელთა იერიშები კვლავ გრძელდებოდა, დაცვა და მეკარე რის ვაი-ვაგლახით იგერიებდნენ ბურთს. ხარკოველები კი კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ერთ-ერთი შეტევის დროს ქანთარიამ დააგვიანა კარიდან გამოსვლა და ისღა შეძლო, აკრძალული ხერხით შეეჩერებინა მეტოქე. მე-12 წუთზე ლ. ბურიაკის დარტყმული თერთმეტმეტრიანი მიზანს აღწევს — 1:0.

ლანჩხუთელებს პირველ ნახევარში თავი არ დაუზოგავთ, ცდილობდნენ გაეთანაბრებინათ ანგარიში, მაგრამ მათ ტერიტორიულ უპირატესობას შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე ნახევარშიც ასე გაგრძელდა. ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ჩხაიძემ, ცაავამ, აკოფიანმა, ხოლო ვარნავსკის ძლიერად დარტყმულ ბურთს სასწაულით გადაურჩა „მეტალისტის“ კარი. სტუმრებს დაღლა დაეტყოთ. უკანასკნელი ხუთი წუთის მანძილზე გუნდი თითქოს ვალის მოხდის მიზნით აგრძელებდა თამაშს. ლანჩხუთელთა შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. 1:0 — სტუმრებმა ამ ანგარიშით გაიმარჯვეს და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

ლანჩხუთელებს ჩასატარებელი დარჩათ სამი შეხვედრა: შინ — მოსკოვის „ტორპედოსთან“, სტუმრად — კიევის „დინამოსთან“ და გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან, მოსკოვის „სპარტაკთან“.

SOS

ამბიციებს არასოდეს მოუტანია სასურველი შედეგი და არც მოიტანს. მითუმეტეს სპორტში, სადაც საბოლოო შედეგი ყოველთვის ლოგიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. არის თუ არა ლოგიკური ლანჩხუთელთა წლევანდელი წარუმატებლობა უმაღლეს ლიგაში? ყოველ შემთხვევაში ალოგიკური აქ არაფერია, ლანჩხუთის „გურია“ არც პირველი გუნდია და არც უკანასკნელი იქნება, რომელმაც მხოლოდ ერთი საფეხბურთო სეზონი გაატარა ქვეყნის უძლიერეს კოლექტივებს შორის და მერე კვლავ დაუბრუნდა პირველ ლიგას. ფეხბურთის ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა კარგად იცის, რამდენ გუნდს დაუტოვებია უმაღლესი ლიგა. შორს წასვლა რად გვინდა. გადავავლოთ თვალი პირველი ლიგის კოლექტივების ახლანდელ შემადგენლობას და დავრწმუნდებით, რომ ეს ლიგა ახლა თითქმის მთლიანად უმაღლესი ლიგის ყოფილი ბინადრებისგან შედგება. ამ ორ ლიგას შორის კოლექტივების „მიმოსვლა“ გრძელდება. ის, ვინც უმაღლეს ლიგაში მიღებული გამოცდილებისა და გაკვეთილების გათვალისწინებით დაბალ ლიგაში მომძლავრდა და მოღონიერდა, მყარად დადგა და შემორჩა მაღალ საფეხურს. თუნდაც უმაღლესი ლიგის გუნდებს გადავავლოთ თვალი. ძალიან ცოტაა ისეთი კოლექტივი, დაბლა რომ არ დაშვებულიყო. მაშ რა არის საგანგაშო და ტრაგიკული იმაში, რომ უმაღლესი ლიგის ახალწვეულ გუნდს ბევრი პრობლემა გაუჩნდა და იგივე ბედის მოზიარე გახდა, რაც არაერთ გუნდს, მათ შორის, საყოველთაოდ აღიარებულ კოლექტივსაც სწვევია? საბჭოთა ფეხბურთის დღევანდელი ლიდერი მოსკოვის „სპარტაკიც“ ხომ ამ რამდენიმე წლის წინ უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა, მერე კი ისევ დაბრუნდა და... რომელი ერთი მაგალითი უნდა გავიხსენოთ?

რატომ ვსაუბრობთ ახლა ამაზე? მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთისა და, კერძოდ, ლანჩხუთის „გურიის“ გულშემატკივართა გარკვეული ნაწილის ობიექტურობას ლალატობს, არასწორად აფასებენ გუნდის შესაძლებლობებს და მასზე [illegible] მოითხოვენ. ავიწყდებათ, რომ „გურია“ თავს არ ზოგავს, თამაშობს, მაგრამ არ ყოფნის გამოცდილება. ჭეშმარიტი გულშემატკივრები ამას კარგად ხედავენ და ობიექტურად აღიქვამენ საყვარელი გუნდის სატურნირო მდგომარეობას. ჭეშმარიტი გულშემატკივრისთვის ყველაფერი გასაგებია, ის პარადოქსებიც კი, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ საფეხბურთო კოლექტივებისთვის. ასეთი გულშემატკივრისთვის უცხოა ამბიციურობა.

საჭამდე მიგვიყვანა ყოყოჩობამ და არაობიექტური გულშემატკივრების ერთი ნაწილის განწყობილებამ? იქამდე, რომ ლანჩხუთში ხარკოვის „მეტალისტთან“ მატჩის დამთავრების შემდეგ სტადიონზე დაიწყო უწესრიგობანი. გამოჩნდნენ მოხულიგნო ელემენტები, რომლებმაც დაარბიეს და მატერიალური ზარალი მიაყენეს სტადიონს. ფეხბურთის ვაიგულშემატკივართა ასეთმა საქციელმა შეურაცხყო არა მარტო ლანჩხუთელი ფეხბურთის მოყვარულები, არამედ ყველა ჩვენგანი, ქართული სპორტის, კერძოდ, ქართული ფეხბურთის ყველა ჭეშმარიტი გულშემატკივარი.

## I ლიგა

გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის I ლიგის მე-40 ტურის მატჩები: ქუთაისის ტორპედოელები როსტოვში შეხვდნენ ადგილობრივ „როსტსელმაშს“ და გაიმარჯვეს — 2:1. ბათუმის დინამოელები სტავროპოლში დამარცხდნენ თანაკლუბელებთან — 0:1. ტურის სხვა მატჩები: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „დაუგავა“ (რიგა) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 1:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 0:0.

პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ჩასატარებელი დარჩა რამდენიმე ტური. ოდესის „ჩერნომორეცმა“ და მოსკოვის „ლოკომოტივმა“ პირველობის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე მოიპოვეს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება.

24 ოქტომბერს ჩვენი რესპუბლიკის ორივე გუნდი საკუთარ მოედანზე ისპარეზებს — ქუთაისელები მიიღებენ იაროსლავლის „შინიკს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ რიგის „დაუგავას“ უმასპინძლებს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომ“ | 38 | 23 | 11 | 4 | 64-27 | 57 |
| „ლოკომ.“ | 38 | 22 | 12 | 4 | 56-22 | 56 |
| „დაუგავა“ | 38 | 18 | 13 | 7 | 60-31 | 48 |
| „ფახთაქ.“ | 39 | 16 | 11 | 12 | 45-40 | 43 |
| „პამირი“ | 39 | 17 | 7 | 15 | 51-44 | 41 |
| „კოლოსი“ | 39 | 16 | 9 | 14 | 57-56 | 41 |
| ასკ „კარ.“ | 38 | 15 | 11 | 12 | 52-38 | 41 |
| „მეტალ.“ | 39 | 13 | 12 | 14 | 50-48 | 38 |
| „კუზბასი“ | 38 | 13 | 14 | 11 | 37-33 | 38 |
| „გეოლოგი“ | 38 | 14 | 8 | 16 | 39-46 | 36 |
| „შინიკი“ | 38 | 14 | 8 | 16 | 25-37 | 36 |
| „როსტს.“ | 38 | 12 | 13 | 13 | 45-50 | 36 |
| „დინ.“ სტ. | 38 | 11 | 13 | 14 | 41-50 | 34 |
| „ზარია“ | 38 | 11 | 14 | 13 | 35-51 | 34 |
| „კოტაიკი“ | 38 | 13 | 7 | 18 | 46-52 | 33 |
| ასკ რ. | 38 | 13 | 7 | 18 | 35-52 | 33 |
| „როტორი“ | 38 | 12 | 9 | 17 | 43-46 | 33 |
| „დინ.“ ბ. | 38 | 11 | 10 | 16 | 32-38 | 32 |
| „სპარტაკი“ | 38 | 11 | 10 | 17 | 33-41 | 32 |
| „ფაკელი“ | 38 | 9 | 13 | 16 | 28-35 | 30 |
| „კრ. სოვ.“ | 38 | 9 | 12 | 17 | 34-50 | 30 |
| „ტორპ.“ ქ. | 38 | 9 | 12 | 17 | 25-46 | 30 |

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

### გფრ

17 ოქტომბერს მიონჰენგლადბახში შედგა ეროვნული პირველობის XIII ტურის ცენტრალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები: ადგილობრივი „ბორუსია“ და ბრემენის „ვერდერი“. უეფა-ს თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკის“ მომავალმა მეტოქემ, „ვერდერმა“ ძლიერად ჩაატარა ეს შეხვედრა და გაიმარჯვა — 2:1. მიმომხილველები განსაკუთრებით აღნიშნავენ ბრემენელთა გუნდის წევრების ნორვეგიელი მცველის ბრატსეტისა და ახალგაზრდა თავდამსხმელის ორდენევიცის საუცხოო თამაშს (ერთ-ერთი გოლი სწორედ ორდენევიცმა გაიტანა და ახლა იგი 9 ბურთით შტუტგარტელ ფრიც ვალტერთან ერთად სათავეში უდგას ბომბარდირთა სიას). ამ მოგების წყალობით „ვერდერმა“ პირველ ადგილზე გადაინაცვლა, რადგან გათამაშების ყოფილმა ლიდერმა „კიოლნმა“ ქულა დაკარგა მაინის ფრანკფურტში, ადგილობრივ „აინტრახტთან“ მატჩში — 1:1. სხვათა შორის, ეს შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა — მსაჯმა 7 ფეხბურთელი გააფრთხილა: 2 მასპინძელთა, 5 — სტუმართა გუნდიდან. „ჰამბურგმა“ შინ სძლია „შტუტგარტს“ — 3:0, ხოლო მანჰაიმის „ვალდჰოფმა“ ასევე შინ დაამარცხა „კარლსრუე“ — 4:1 (სამი გოლი ბიურერის ანგარიშზეა). დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ბაიერი“ (იურდინგენი) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 0:0, „ნიურნბერგი“ — „შალკე 04“ (გელზენკირხენი) 1:1, „ჰომბურგი“ — „ჰანოვერ 96“ 1:1, „ბაიერნი“ (მიუნხენი) — „კაიზერსლაუტერნი“ 4:2.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ვერდერი“ | 13 | 25-8 | 21 |
| „კიოლნი“ | 13 | 22-7 | 21 |
| „ბაიერნი“ | 13 | 33-17 | 20 |

### ინგლისი

შაბათს, 17 ოქტომბერს, ინგლისელ მიმომხილველთა ყურადღება მიპყრობილი იყო ლივერპულის „ენფილდ როუდის“ სტადიონისკენ, სადაც „ლივერპული“ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ მასპინძლობდა. პირველ ტაიმში, ლივერპულელთა აშკარა უპირატესობის მიუხედავად, სტუმრები თავიანთი მეკარის, სიმონის შემწეობით როგორღაც ახერხებდნენ მეტოქის შეტევების მოგერიებას. თუმცა შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე ისიც უძლური აღმოჩნდა ჯონსტონის დარტყმის წინაშე — 1:0. 65-ე წუთზე ოლდრიჯმა 11-მეტრიანი დარტყმით ანგარიში გაზარდა, ხოლო 78-ე და 85-ე წუთებზე ბარნსმა ზედიზედ ორი ულამაზესი გოლი გაიტანა — 4:0. „ლივერპულმა“ გაიმარჯვა და სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ დაძაბულ ბრძოლაში სძლია „ნორიჩ სიტის“ — 2:1. გადამწყვეტი ბურთი შეხვედრის მიწურულს გაიტანა მანჩესტერელთა კაპიტანმა რობსონმა. „ნოტინგემ ფორესტმა“ დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხა „შეფილდ უენსდეი“. დანარჩენი მატჩების შედეგები: „ჩარლტონ ათლეტიკი“ — „დარბი ქაუნთი“ 0:1, „ჩელსი“ (ლონდონი) — „კოვენტრი სიტი“ 1:0, „ლუტონ თაუნი“ — „უიმბლდონი“ 2:0, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ევერტონი“ (ლივერპული) 1:1, „ოქსფორდ იუნაიტედი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ლონდონი) 1:2, „საუთჰემპტონი“ — „უოტფორდი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ქუინზ პარკი“ | 11 | 16:9 | 25 |
| „ლივერპული“ | 9 | 28:6 | 15 |

### შოტლანდია

გლაზგოს გუნდების „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ შეხვედრები მუდამ ცენტრალური მოვლენაა არა მარტო შოტლანდიის, არამედ მთელი ბრიტანეთის საფეხბურთო ცხოვრებაში. ასე იყო ამჯერადაც. „აიბროქს პარკის“ მინდორზე შაბათს გამართული შეხვედრა იშვიათი დაძაბულობითა და დრამატიზმით გამოირჩეოდა. საკმარისია ითქვას, რომ თამაშის დამთავრებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე „სელტიკის“ 10 მოთამაშეს „რეინჯერსის“ 8 ფეხბურთელი უწევდა წინააღმდეგობას — მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ვუდსი, რობერტსი, ბუჩერი (ყველა — „რეინჯერსი“) და მაკავენი. ამ მომენტისთვის „სელტიკი“ ორი ბურთით იგებდა. მატჩს და ვინ წარმოიდგენდა, ხელიდან თუ გაუშვებდა ასეთ უპირატესობას, მაგრამ თურმე ასეთი საოცრებებიც ხდება: თამაშის მიწურულს ჯერ მაკკოისტმა შეამცირა სხვაობა, ბოლო წამებზე კი ანგარიშში თანაფარდობა აღადგინა გოლფმა, რომელიც პირველ შეხვედრას ატარებდა უმაღლეს დივიზიონში — 2:2. ჩემპიონატის ლიდერი, ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოთიენი“ დამარცხდა თანაქალაქელთა გუნდ „ჰიბერნიენთან“ (1:2), მაგრამ მაინც პირველ ადგილზეა. დანარჩენი მატჩების შედეგები: „დანდი იუნაიტედი“ — „აბერდინი“ 0:0, „დანფერმლინი“ — „დანდი“ 0:1, „ფოლკერკი“ — „მაზერუელი“ 3:0, „მორტონი“ — „სენტ-მირენი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰართ ოვ მიდლ.“ | 12 | 25:11 | 19 |
| „სელტიკი“ | 12 | 21:9 | 18 |
| „აბერდინი“ | 12 | 17:9 | 16 |
| „გლაზგო რეინ.“ | 12 | 24:10 | 14 |

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ჯგუფის მორიგი ტურის მატჩები:

ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 0:2, „ივერია“ (ხაშური) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მადნეული“ (წყალტუბო) 0:0, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სულორი“ (ვანი) 2:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 5:2, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:3, „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 3:5, „დინამო“ (გაგრა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:3, „არმაზი“ (მცხეთა) — „კახეთი“ (თელავი) 2:1.

### რატომ დაიკლო მონაწილეთა რიცხვმა?

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში იტალიაში გაიმართება, მანამდე კი საკვალიფიკაციო ჯგუფებში უნდა გამოვლინდნენ ფინალურ შეჯიბრებათა მონაწილეები.

მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის მსურველ ეროვნულ ფედერაციებს 30 სექტემბრამდე უნდა შეეტანათ ოფიციალური განაცხადები ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაზე. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი სულ 111-მა ფედერაციამ გამოთქვა, 1986 წლის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის კი ამავე დროისთვის განაცხადების რაოდენობა უფრო მეტი იყო, კერძოდ, 123.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა ა. ტონინიომ განმარტა, თუ რამ გამოიწვია ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რიცხვის შემცირება. წინა ჩემპიონატში ათზე მეტი სახელმწიფო გათამაშებაში მონაწილეობაზე განაცხადის წარდგენის შემდეგ სხვადასხვა მიზეზით ვერ გამოვიდა შეჯიბრებაზე, რის გამოც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ისინი მოზრდილი თანხით დააჯარიმა. ფიფა-მ ახლა წინასწარ გააფრთხილა ფედერაციები, რომ თუ განაცხადის შეტანის შემდეგ რომელიმე მათგანი თავს აარიდებს შეჯიბრებაში მონაწილეობას, სანქციები კიდევ უფრო მკაცრი იქნება. ამიტომაც ზოგიერთმა ფედერაციამ წინასწარვე არჩია თავი შეეკავებინა განაცხადის წარდგენისგან.

### იენ უილსონი „ევერტონში“

ამ ცოტა ხნის წინ ცნობილ ინგლისურ საფეხბურთო კლუბს „ევერტონს“ ტრავმების გამო ორი საუკეთესო მოთამაშე გამოაკლდა. ესენია ნახევარმცველები კევინ შიდი და პოლ პაუერი.

„ევერტონის“ პრეზიდენტმა მიიწვია „ლესტერ სიტის“ 29 წლის იენ უილსონი, რომელიც შოტლანდიის ნაკრების ღირსებას იცავს. „ევერტონის“ ხელმძღვანელობა დიდხანს აკვირდებოდა ამ ფეხბურთელს. „ლესტერ სიტისა“ და „პლიმუტის“ მატჩში მან ერთი ბურთი გაიტანა, ხოლო მისი გადაცემით გავიდა კიდევ ორი გოლი. საბოლოოდ უილსონის ძველმა კლუბმა ანგარიშით 4:0 დაამარცხა „პლიმუტი“.

### „ნაპოლის“ მოლარეს ფული არ გაუცია

ცნობილი იტალიური საფეხბურთო კლუბის „ნაპოლის“ მოლარე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი წრის განმეორებით მატჩზე მადრიდის „რეალთან“ პოლიციის ესკორტის თანხლებით მივიდა. ასეთი გაძლიერებული ბადრაგი აუცილებელი იყო, ვინაიდან მოლარეს პორტფელში ედო 385 ათასი დოლარი, რომელიც ხაზინადარს მოთამაშეებისათვის უნდა გაენაწილებინა გამარჯვების შემთხვევაში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მატჩის და-



საწყისი „ნაპოლისთვის“ საიმედო გამოდგა — ჯიოვანი ფრანჩინიმ ორთაბრძოლის მე-9 წუთზე გახსნა ანგარიში, 41-ე წუთზე ბრაზილიელმა კარეკამ მეტოქეთა კარის მეორედ აღების ბრწყინვალე შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. სამი წუთის შემდეგ კი „რეალის“ მოთამაშეებმა ხუგო სანჩესმა და ემილიო ბუტრაგენიომ უკან ჩამოიტოვეს მასპინძელთა მცველები და ანგარიში გაიქვითა. „ნაპოლი“ ასპარეზობას გამოეთიშა და მის მოლარეს ფული არ დაურიგებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა



შაბათს და კვირას გაიმართა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

### სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში

# დებიუტანტი ხასიათს ავლენს

**ბაქო.** ამ ჯგუფში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა მოსკოვის „დინამომ" ორი შეხვედრა მოიგო და სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო განიმტკიცა. შაბათს მან ცსკ ვმფ დაამარცხა 11:6 (1:1, 5:2, 2:2, 3:1), მეორე დღეს კი ლენინგრადის „ბალტიკას" აჯობა 16:10 (3:2, 3:2, 5:3, 5:3). ყურადღებას იპყრობს მოსკოვის დინამოელთა შედეგიანი თამაში. ბოლო ორ მატჩში ლიდერმა 27 გოლი გაიტანა და საერთოდაც, დინამოელებს ამ ჩემპიონატში ყველაზე ბევრი ბურთი აქვთ გატანილი (220) და თითქმის ყველაზე ცოტა მიღებული (141).

თბილისის „დინამომ" გასულ შაბათს თავისი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მატჩი ჩაატარა (ამ დღეს ისინი კიეველ თანაკლუბელებს ხვდებოდნენ). განსაკუთრებით ცუდად ითამაშეს თბილისელებმა პირველ ორ პერიოდში, რომელიც მშრალი ანგარიშით — 0:5 წააგეს. მერე და მერე მათ გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ დაკარგულის მთლიანად ანაზღაურება ძნელი აღმოჩნდა. კიევის „დინამომ" ეს შეხვედრა მოიგო — 8:5 (2:0, 3:0, 2:2, 1:3).

ძნელი ბრძოლა ჰქონდათ თბილისელებს მეორე დღესაც. ძნელი იყო იგი იმითაც, რომ კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის წყალბურთელებს შინ ხვდებოდნენ. არა და ბაქოს გუნდი ცდილობს ფინალისტთა შორის მოხვედრას და ყოველ დარჩენილ შეხვედრას დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ატარებს. ქულები ცხადია, თბილისელებსაც სჭირდებათ და სწორედ ამან განაპირობა მატჩის სიმძაფრე.

„დინამომ" კარგად ჩაატარა პირველი და მესამე პერიოდები, ბაქოელებმა — მეორე. ბოლო პერიოდი ფრედ დამთავრდა და თბილისელებმა შესძლეს მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება, რამაც მათ ორი, მეტად საჭირო ქულა მოუტანა — 9:8 (2:1, 2:4, 4:2, 1:1).

ამ ჯგუფის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: კკფ (ბაქო) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 16:8 (4:1, 3:3, 3:2, 6:2), ცსკ ვმფ — „დინამო" (კიევი) 13:8 (4:2, 3:2, 3:1, 3:3).

**ლვოვი.** ამ ჯგუფში პირველი სენსაცია მოხდა. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი ალმა-ათის „დინამო" საკავშირო ჩემპიონატების დებიუტანტმა, შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიის (სევასტოპოლი) კოლექტივმა დაამარცხა —8:7 (3:1, 1:4, 2:1, 2:1). როგორც ხედავთ, სევასტოპოლელმა წყალბურთელებმა სამი პერიოდი მოიგეს, რაც ამ მატჩში მათი უპირატესობის მაჩვენებელია.

ერთი დღით ადრე ალმაათელებმა მძაფრ ბრძოლაში თავიანთი მთავარი მეტოქე — მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელები დაამარცხეს — 8:7 (1:2, 2:2, 2:2, 3:1).

ჯგუფის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „მოსკვიჩი" — კჩფ (სევასტოპოლი) 9:8 (2:1, 3:3, 2:1, 2:3), „დინამო" (ლვოვი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 8:5 (1:2, 2:1, 1:1, 4:1), „მოსკვიჩი" — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 3:3 (1:1, 1:2, 0:0, 1:0), „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) — „დინამო" (ლვოვი) 12:12 (4:5, 3:1, 4:2, 1:4).

**გათამაშების ცხრილები**

**მდგომარეობა 20 ოქტომბრისთვის**

**ბაქოს ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (მ.) | 19 | 17 | 2 | 0 | 220-141 | 36 |
| ცსკ ვმფ | 19 | 12 | 2 | 5 | 176-147 | 26 |
| „დინ." (თბ.) | 19 | 10 | 2 | 7 | 149-144 | 22 |
| კკფ (ბაქო) | 19 | 8 | 0 | 11 | 169-179 | 16 |
| „დინ." (კ.) | 19 | 3 | 4 | 12 | 155-182 | 10 |
| „ბალ." (ლ.) | 19 | 1 | 2 | 16 | 135-207 | 4 |

**ლვოვის ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ალმა-ათა) | 19 | 13 | 2 | 4 | 178-150 | 28 |
| „დინ." (ლვ.) | 19 | 11 | 5 | 3 | 196-172 | 27 |
| „უნ." (მ.) | 19 | 11 | 4 | 4 | 179-139 | 26 |
| „მოსკვ." | 19 | 6 | 4 | 9 | 136-150 | 16 |
| „ლოკ." (ხ.) | 19 | 2 | 5 | 12 | 123-161 | 9 |
| კჩფ (სევ.) | 19 | 3 | 2 | 14 | 120-164 | 8 |

# ბავშვის თბილი ხელი

**მე** მყავდა მეზობელი, რომელიც პროთეზს დაატარებდა. „ეშმაკმა დალახვროს, — იტყოდა ხოლმე — ისა მტკივა, რაც არა მაქვს". ომის დროს მოჭრილი ფეხი სტკიოდა.

მეც რაღაც ამდაგვარი, თითქოს არარსებული მტკივა. ისიც არ ვიცი, როგორ გაჩნდა იგი, საიდან მოვიდა: არც მძიმე მშობიარობა მქონია და არც ის საშინელი სიტყვა მითქვამს ბავშვის ნახვისთანავე: „ვტოვებ!".

არც ეს ცისფერთვალება ბიჭუნაა ჩემი, პლასტილინით რომ მოუთხუპნია თითები. არა მყავს ბავშვი წყნეთის ბავშვთა სახლში, არა მყავს... მაგრამ ტკივილი მაინც ჩემია...

97 არაბავშვური ისტორია ბავშვებზე — აი, რა არის წყნეთის ბავშვთა სახლი.

ეს ტანეჩკაა. წლინახევრისა იყო, მატარებლის გამცილებელმა ქალმა რომ მოიტაცა. მოიპარა ისე, როგორც ლამაზი თოჯინა, მაგრამ როცა თოჯინა მობეზრდა, სიყვარულმაც გაუარა. აღარც აჭმევდა, აღარც უვლიდა, სცემდა და სახლში მარტოდ ტოვებდა. ღამღამობით მეზობლებს ესმოდათ ტანიას მოგუდული ტირილი... ბავშვი როგორც იყო, ჩამოართვეს მოძალადე დედობილს, მაგრამ ნამდვილი მშობლების პოვნა ველარ შეძლეს. ახლა იგი 5 წლისაა.

ეს რუსტამია. მამის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, დედა კი ციხეში ზის. რუსტამი ბოშაა, ხუჭუჭა თმითა და მწველი თვალებით. რუსტამი დღეს ბედნიერია: წერილი მიიღო დედისგან. ერთი წელიღა დამრჩა, მერე ჩამოვალ და ჩემთან წაგიყვანო, წერს დედა... წერილი რუსტამს თან დააქვს და ყველას უჩვენებს...

ნატაშას ჰყავს დედა. დედა და კიდევ ორი და — ისინიც ბავშვთა სახლებში არიან. დედა ორ ცვლაში მუშაობს და სამ თვეში ერთხელ ჩამოდის ხოლმე ნატაშას სანახავად. ფულს აგროვებს და, როცა ნატაშა დიდი გაიზრდება, ბევრ ლამაზ კაბას უყიდის. კარგია, როცა ბევრი ლამაზი კაბა გაქვს... ეგაა, რომ როცა დედა მიდის, ნატაშა ტირის.

...შესანიშნავი აგარაკია წყნეთი. ორ ნაბიჯზეა დედაქალაქიდან. ზაფხულში გრილა, ჰაერიც ნამდვილი ბალზამია. ბავშვთა სახლს წყნეთის შუაგულში ოთხ ორსართულიან კოტეჯში დაუდევს ბინა. კარგად ცხოვრობენ პატარები, ყველაფერი აქვთ: საბავშვო მოედნებიც, ნაირნაირი გასართობებიც, სპორტული ტრენაჟორებიც; აღმზრდელები და ძიძებიც სათნონი და კეთილნი არიან. მხოლოდ დედები და მამები არ ჩანან.

არიან შეფებიც. თბილისის ბავშვთა სახლებზე, წყნეთსა და დიღომში, მეურვეობა იკისრეს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგებმა და სტუდენტებმა. შეფებმა ბავშვებს საჩუქრად გადასცეს სპორტული ინვენტარი: ველოსიპედები, სახტუნაოები, ბურთები. ინვენტარი პრობლემა არ არის. შეფები სხვა მხრივ არიან შეუცვლელნი: ისინი აწყობენ შეჯიბრებებს, ასწავლიან ბავშვებს ვარჯიშებს და... ავლენენ ტალანტებს.

დიღმის ბავშვთა სახლში, სადაც სასკოლო ასაკის ბავშვები ცხოვრობენ, მომავალ სპორტსმენთა მთელი პლეადა იზრდება — მოცურავეების, მძლეოსნების, ფეხბურთელების. შეფები ზრუნავენ იმაზე, რომ ბავშვებს რეგულარულად ჰქონდეთ ვარჯიშებზე დასწრების შესაძლებლობა (ამისათვის გამოყოფილია რამდენიმე პატარა ავტობუსი), ეხმარებიან მათ შეჯიბრებათა ორგანიზაციაშიც. განსაკუთრებული მონაცემების მქონენი გაერთიანებულნი არიან ქალაქის სხვადასხვა ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში.

წყნეთის ბავშვთა სახლში კი, სადაც სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ, მომავალი ტანმოვარჯიშეები იზრდებიან. ეს ცისფერთვალება გურამიც, ხელს რომ არ მიშვებს, თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტული ტანვარჯიშის სკოლაშია ჩარიცხული.

გურამს არავინ არა ჰყავს. აქ იგი ჩვილ ბავშვთა სახლიდან გადმოიყვანეს. გურამის დედამ არა მარტო ბავშვის აღზრდის მთელი სიმძიმე გადაიგდო მხრებიდან, არამედ უარი თქვა მისით მონიჭებულ ბედნიერებაზე.

გურამს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მას შესაშური ფიზიკური მონაცემები აქვს, გულმოდგინებითაც გამოირჩევა, სპორტი შეაძლებინებს ბიჭს სიძნელეებთან ბრძოლას, გააკაჟებს და ნებისყოფას გაუმტკიცებს.

...თბილისიდან წყნეთამდე 15 წუთის სავალია, უკან შვიდ წუთში ვბრუნდებით. გზა ისეთ თავდაღმართში ეშვება, მუხრუჭს ფეხს ვერ მოაცილებ. ჩვენ თბილისისაკენ მოვემგზავრებით — გურამი მოგვყავს ვარჯიშზე. ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იტალიური მაკარონივით დატეხილი გზა ქალაქისაკენ მიემართება. იქნებ დიდებისაკენ მიდის ეს გზა? ან იქნებ უბრალოდ ხალხისკენ, სიყვარულისა და სითბოსაკენ?

**პეპი ბოჟორიშვილი,**
**გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი, „სოვეტსკი სპორტი".**
**16.X.87 წ.**

***რედაქციისაგან:*** ***ვიდრე ამ წერილს „სოვეტსკი სპორტიდან" გადმოვბეჭდავდით, ერთხელ კიდევ დავინტერესდით წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებით. გამოირკვა, რომ წყნეთიდან ბავშვები თბილისში, ტანვარჯიშულ სკოლაში სამეცადინოდ... აღარ დადიან.***

***რატომ და ვისი მიზეზით? რედაქცია ამ კითხვაზე სასწრაფოდ ელოდება პასუხს.***

# რევანში მაინც შედგა



**უიმბლდონის** ტურნირის ფინალის შემდეგ მსოფლიოს ორი უძლიერესი ჩოგბურთელი ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი და ავსტრალიელი პატ კეში ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. უიმბლდონზე, გახსოვთ ალბათ, ავსტრალიელმა დაამარცხა ლენდლი და ამ პოპულარული ტურნირის ჩემპიონის სახელი პირველად მოიპოვა. ახლა ისინი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში (დახურულ კორტებზე). ეს შეჯიბრება სიდნეიში ჩატარდა და ჩოგბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ფინალამდე კეში უიმბლდონის ორგზის ჩემპიონს ბორის ბეკერს (გფრ) შეხვდა. მძაფრი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ავსტრალიელ ჩოგბურთელს დარჩა — 6:3, 2:6, 7:6. ლენდლმა ნახევარფინალში იუგოსლაველ სლობოდან ჟივოინოვიჩს აჯობა — 6:3, 7:5. და აი, გადამწყვეტი შეხვედრა: ლენდლი ამჯერად მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და სამ პარტიაში დაამარცხა მეტოქე (6:4, 6:2, 6:4).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წლეულს ივან ლენდლმა „გრან-პრის" პროგრამით მეექვსე ტურნირი მოიგო. სულ კი ამ სერიის მატჩებში 68 გამარჯვება აქვს მოპოვებული. მიმდინარე სეზონში ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელს ხელი მხოლოდ ორჯერ მოეცარა, ერთხელ ზემოხსენებულ უიმბლდონის ტურნირში, მეორედ კი ავსტრალიის ღია ჩემპიონატში.

# „რეალი" გუშინ და დღეს

**შარშანდელ** სეზონში მადრიდის „რეალს" საკმაოდ მოკრძალებული შედეგები ჰქონდა, როგორც ქვეყნის ჩემპიონატში, ისე საერთაშორისო სარბიელზე. იგი ნაადრევად გამოეთიშა ესპანეთის ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლას და მისთვის უჩვეულო III ადგილს დასჯერდა (სუპერფინალში ითამაშეს „ბარსელონამ" და „ჰუვენტუდ ბადალონამ". ჩემპიონი, როგორც ცნობილია, „ბარსელონა" გახდა). წარუმატებლად გამოვიდა „რეალი" საერთაშორისო სარბიელზეც. ჩემპიონთა თასზე მან 10 მატჩიდან მხოლოდ 2 მოიგო და უძლიერესთა ექვსეულში ბოლო ადგილი დაიკავა. ასე ხელმოცარული მადრიდის „რეალი", ალბათ, ძალზე ძნელი გასახსენებელია. ამიტომ ახალ სეზონში გუნდის ხელმძღვანელობამ, როგორც უცხოური გაზეთები იუწყებიან, ქმედით ღონისძიებებს მიმართა.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ პროფესიონალებში ერთწლიანი სტაჟირების შემდეგ „რეალს" დაუბრუნდა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური თავდამსხმელი ფერნანდო მარტინი, რომლის არყოფნა შარშან, მიმომხილველთა აზრით, ძალზე დაეტყო გუნდს. ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო ხოსე ბირიუკოვმა, რომელსაც კორვალანის მემკვიდრედ მიიჩნევენ. „რეალში" მოთამაშე ამერიკელი კალათბურთელი სპრინგსი შეცვალა მისმა თანამემამულემ ალექსმა.

მოლონიერებულმა „რეალმა" წარმატებით აიღო სტარტი ესპანეთის ჩემპიონატში და პირველ ტურში საკუთარ მოედანზე სძლია „ესპანიოლს" — 88:78. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ კალათბურთელებს ბრანსონსა (24 ქულა) და ალექსს (20).

**მერაბ კალანდაძე**

# „საბჭოთა სპორტის" ჰორიზონტში

(დასასრული)

**ზამთრის სპორტში... როგორ აპირებს გაზეთი ამ შეჯიბრებების გაშუქებას?**

— მართალი ბრძანდებით, 1988 წელი თავისი დაძაბულობით განსაკუთრებულია. მისი ცენტრალური მოვლენები უთუოდ იქნება ორი ოლიმპიადა — ზამთრისა კანადის ქალაქ კალგარიში და გაზაფხულისა სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში. „სოვეტსკი სპორტის" სპეციალური კორესპონდენტები ვრცლად გააშუქებენ მსოფლიო სპორტის ამ ფორუმებს. ასევე ვრცლად გავაშუქებთ სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებს, განსაკუთრებით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს.

◎ **მასობრივ სპორტზე, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის პრობლემებზე რაღას გვეტყვით?**

— ფიზაღზრდის განყოფილება ერთ-ერთი წამყვანია ჩვენს გაზეთში, და ჩვენც საუცხოოდ გვესმის მისთვის დაკისრებული მისიის მთელი მნიშვნელობა. ფასიანი მომსახურების სფეროს გაფართოება, ხარისხიანი ინვენტარის გამოშვება, შინაარსიანი, ადვილად გასაგები სპორტული ლიტერატურა, ფიზკულტურა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მასობრივი დასვენების ადგილებში, სკოლებში... აი, არც თუ ისე სრული ნუსხა იმ თემებისა, რომელთა სისტემატურ განხილვას ვაპირებთ გაისად.

◎ **რა ადგილს დაუთმობს თქვენი გაზეთი ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებას?**

— საქართველოსადმი ჩვენს რედაქციას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. ეს ხომ კავშირის ერთ-ერთი ყველაზე „სპორტული" რესპუბლიკაა სახელოვანი წარსულით, აწმყოთი და, დარწმუნებული ვარ, ასეთივე მომავლით. ეს არის ნონა გაფრინდაშვილისა და ლევან თედიაშვილის, ვიქტორ სანეევისა და ომარ ფხაკაძის, ნინო დუმბაძისა და ქეთევან ლოსაბერიძის, ბორის პაიჭაძისა და რომან რურუას, იმ ადამიანების სამშობლო, ვინც მსოფლიო დიდება მოუხვეჭა საბჭოთა სპორტს. ასე რომ, თქვენი რესპუბლიკის მიმართ მრავალფეროვანი გეგმები გვაქვს. თუმცა ყველა საიდუმლოს არ გაგიმხელთ, მხოლოდ ერთს გეტყვით: გამოიწერეთ „სოვეტსკი სპორტი". შეგახსენებთ: ჩვენი გაზეთის გამოწერა შეუზღუდავად შეიძლება მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე. (საქინფორმი).

### „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 42-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 38 (მთამსვლელობა), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 4 (კრივი), 18 (მძლეოსნობა), 19 (საოხილამურო რბოლები), 25 (ციგაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

### „სპორტპროგნოზი"

**42-ე ტირაჟის შედეგები**
**(17 ოქტომბერი)**

1-1, 2-1, 3-2, 4-1, 5-1, 6-X, 7-X, 8-1, 9-X, 10-X, 11-1, 12-1, 13-2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის „ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი
**ედუარდ გალაქტიონის ძე კუპრავა**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 6642[illegible]**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით გაზეთთა კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08049